


თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიმებრები

2017 წლის განმავლობაში „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შეტანილი იქნა ერთხელ. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები თავდაპირველ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 305 000.0 ათასი ლარით და განისაზღვრა 11 720 475.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 11 764 835.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.4%-ია.

საქართველოს 2011-2017 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების
გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9 157 212.8 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9 333 356.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 101.9%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 9 372 090.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.4%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 017 203.7 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 956 556.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 94.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 971 755.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 101.6%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 019 871.5 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 908 878.7 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 89.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 905 602.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 526 187.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 521 683.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 99.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 515 387.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.8%-ია.

2017 წლის ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 1 685.9 მლნ ლარი.
- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ღჯახებში დაბრუნებასთან

დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთაინ დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი ფულადი დახმარების გაცემა. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 646.6 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 706.1 მლნ ლარი;
- 2016 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთაინი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთაინ დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, დანამატები მაღალმთაინ დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 41.9 მლნ ლარი;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განხორციელდა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ქვეყნის მასშტაბით დაფინანსდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა (2.7 მლნ ლარი);
- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს მინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაკვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი (ბინა) გადაეცა 1 694 ოჯახს, ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 612 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 9 ბინის გამოსყიდვა, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 94 საცხოვრებელი სახლი, ხოლო სტიქიით დაზარალებული 16 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საკომპენსაციო თანხით (თითოეულ ოჯახზე 50.0 ათასი ლარის ოდენობით). დასრულდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ქ. გორში ქ. ქუთაისში და ქ. ზუგდიდში 3 ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა 5 ობიექტზე. დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შეძენა ქ. ქუთაისსა და ქ. თბილისში 9 ობიექტზე, შენობა-ნაგებობების

სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 ობიექტზე, ხოლო მიმდინარეობდა 7 ობიექტზე. გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 1 088 ოჯახი (ქ. ზუგდიდში, ბარამიას ქ. N7-ში - 144 ოჯახი, გორის რაიონის მუნიციპალიტეტში - 509 ოჯახი, ქ. ქუთაისში - 160 ოჯახი, ქართველი მენაშენებისაგან და ჰუალინგ ჯგუფი - 275 ოჯახი);

- იპოთეკური ვალდებულების მქონე 164 დევნილ იჯახს გაეწია ფულადი დახმარება (სესხის დაფარვა). სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 7 149 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 1 302 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50-დან 300 ლარამდე);
- ქვეყნის მასშტაბით არსებული ორი ათასზე მეტი საჯარო და 240-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 575.7 მლნ ლარი;
- უზრუნველყოფილ იქნა 1.2 ათასზე მეტი საჯარო სკოლის 71.0 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორის, ამ მიზნით მიიმართა 17.0 მლნ ლარი;
- ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებსა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს გაეწია ფინანსური დახმარება, ამ მიზნით მიიმართა 3.1 მლნ ლარი;
- 1 300-მდე მანდატური საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები გადანაწილებულნი იყვნენ 460 სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უნივერსიტეტში;
- დასრულდა 7 საჯარო სკოლის მშენებლობა და 10 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაფინანსებულ იქნა 6 საჯარო სკოლა სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით; დასრულდა 12 საჯარო სკოლის გამაგრების, 25 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახების მოწყობის, 30 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობისა და 59 საჯარო სკოლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 144 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია; შეცვლილ იქნა კარფანჯრები 24 საჯარო სკოლაში, მოწყობ სველი წერტილები 52 საჯარო სკოლაში, დასრულდა ორი ახალი სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე მომზადდა 25 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის საპროექტო დავალებები, 35 მცირევონტიგენტიანი საჯარო სკოლის მშენებლობისთვის ესკიზური პროექტი და 564 საჯარო სკოლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება; სამედიცინო აღჭურვილობა გადაეცა 70 სკოლას, სასკოლო ავეჯი - 65 საჯარო სკოლას; შეძენილ იქნა 546 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი, რომელიც გადაეცა 54 საჯარო სკოლას; დასრულდა 27 საჯარო სკოლის შემოღობვისა და ეზოს კეთილმოწყობის, წყალმომარაგების სისტემის უზრუნველყოფის, საკანალიზაციოს სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- 542 საჯარო სკოლას, 15 პროფესიულ კოლეჯსა და 7 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გადაეცა დაფინანსება სხვადასხვა სახის სარებილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ ხუთ დაწესებულებას ჩაუტარდა სხვადასხვა სახის ნაწილობრივი/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ოცი დაწესებულება აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით,
- განხორციელდა სამინისტროს სისტემაში შემავალი 7 საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია და სამი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსება სხვადასხვაა სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად;
- მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში. განხორციელდა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება როგორც ქვეყნის, ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;
- ხელი შეეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაიცა 712 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშავთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 418 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშავმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 32 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით. მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 293 მწვრთნელმა მიიღო დანამატი;
- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 250-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 360-მდე სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 64 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 320-მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში და მოიპოვეს 885 მედალი (290 ოქრო, 239 ვერცხლი და 356 ბრინჯაო);
- ქვეყნის მასშტაბით, სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამი სპორტის სასახლის მშენებლობა (ბათუმი, გორი, თელავი), რაგბისა და ფეხბურთის სახეობების განვითარების მიზნით თბილისში - 7, ხოლო ქუთაისში - 3 სტანდარტული მოედნის მშენებლობა (მათ შორის 6 ბუნებრივი და 4 ხელოვნური საფარით). პროგრამის „იცხოვრე სპორტით, დარჩი ახალგაზრდა“ ფარგლებში დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობები 10 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020წწ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 80 საფეხბურთო კლუბი (საბაზო, მასობრივი და სხვადასხა სახის საფეხბურთო ღონისძიებების დაფინანსება);
- განხორციელდა სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზიტორების მზადების ეროვნულ ცენტრში რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათვარი, ჯალმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წევრე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (5.5 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2016 წლის პირველი დეკემბრიდან 2017 წლის 15 მაისამდე და 2017 წლის 15 ოქტომბრიდან პირველ დეკემბრამდე მოხმარებული 12.8 მლნ მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება. ასევე, საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ანაზღაურებულ იქნა შეღავათის ზემოთ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მოხმარებული 2.0 მლნ მ³ ბუნებრივი გაზის ღირებულება. სულ ამ მიზნით მიიმართა 6.7 მლნ ლარი;
- „საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად დასრულდა მშენებლობა მცხეთის, სენაკის, დუშეთის, ზესტაფონის, ქარელის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თელავის, თერჯოლის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხარაგაულის, ყვარლის, ხაშურის, ზუგდიდის, მარტვილის, გარდაბნის, კასპის, გორის, ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში სოფლების გაზიფიცირებაზე. დასრულდა თელავის მუნიციპალიტეტში ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის დედათა მონასტრის გაზიფიცირების პროექტირება და მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოების ტენდერში მონაწილე პრეტენდენდების შერჩევა/შეფასება. საანგარიშო პერიოდში ამ მიზნით მიმართულ იქნა 70.0 მლნ ლარი;
- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, ანაზღაურებულ იქნა: საჩხერის, გორის, კასპის, ქარელის და ხაშურის მუნიციპალიტეტების გამყოფი

- ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები აბონენტების მიერ (11 154 აბონენტი) მოხმარებული ბუნებრივი გაზის ღირებულება სულ 2.2 მლნ ლარის ოდენობით (თითოეულ აბონენტზე 200 ლარი);
- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, წყალსაცავების მშენებლობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების, საირიგაციო სისტემის შიდა ქსელების რეაბილიტაციის, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების, მცირე და დიდი გრანტების გაცემის მიზნით მიიმართა 106.5 მლნ ლარი;
 - შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. სულ გაცემულია 2 364 სესხი 276.3 მლნ ლარის და 36 სესხი - 4.4 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.
 - დანერგე მომავალის პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 1 778 ჰექტარზე გასაშენებელი 306 ბალის პროექტი;
 - აზიური ფაროსანას პირველი და მეორე თაობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩატარდა დასავლეთ საქართველოში, დამუშავდა თხილისა და სიმინდის ფართობები - 110 000 ჰექტარზე. მავნებლის გავრცელების დადგენის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით განთავსდა 21 000 ფერომონიანი საჭერი. შეწამვლითი ღონისძიებების გასატარებლად მუნიციპალიტეტებს უსასყიდლოდ გადაეცათ ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდი, გერმანული წარმოების ზურგსაკიდი შემასხურებელი აგრეგატები და სხვა დამხმარე მასალები. აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის მიზნით, მათზე გადასაცემად შეძენილი იქნა 230 000 ლიტრი ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდი და 230 000 ცალი ფერომონი. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართა 30.9 მლნ ლარი;
 - საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 873.8 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობაზე - 461.2 მლნ ლარი;
 - ✓ საავტომობილო გზების რეაბილიტაციაზე - 146.9 მლნ ლარი;
 - ✓ საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკვეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - 86.0 მლნ ლარი;
 - ✓ დევდორაკის გვირაბის მშენებლობაზე - 36.3 მლნ ლარი.
 - ✓ სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებზე - 14.5 მლნ ლარი;
 - სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 291.9 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 82.5 მლნ ლარი;
 - ✓ წყლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პროექტებზე - 26.4 მლნ ლარი;
 - ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტზე - 69.7 მლნ ლარი;
 - ✓ ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტზე - 17.7 მლნ ლარი;
 - ✓ საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტზე - 20.7 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II-ზე - 10.1 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 11.1 მლნ ლარი;

- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) პროექტზე - 5.1 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) პროექტზე - 10.5 მლნ ლარი;
- ✓ მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე - 25.0 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში ძირითადად მიმდინარეობდა და დასრულდა: ქობულეთის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები, ქალაქის და მუნიციპალიტეტების: წნორის, სიღნაღის, წალკის, ოზურგეთის, ტყიბულის, ახმეტის, ქარელის, საგარეჯოს, ბოლნისის, ხობის, ზესტაფონის, ლაგოდეხის და სოფელ კურდღელაურის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია და სენაკის, ლიკანის და წალვერის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; ქალაქ თერჯოლის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია; ანაკლიის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები; მესტიის წყლის გამწმენდი ნაგებობისა და 2 რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები; ქალაქ ურეკში წყალმომარაგების, წყალარინების სისტემების და წყლის ქსელების საშენებლო სამუშაოები, ჭაბურღილების რეაბილიტაცია, წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის და ჭების მოწყობის სამუშაოები; ქალაქ ქუთაისში რეზერვუარის, სატუბმი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა; ქალაქ ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 184.3 მლნ ლარი;
- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით მოწყობითი 116 პრეს და გაცნობითი ტური, შეიქმნა ზამთრის ტურისტული პოტენციალის ამსახველი ვიდეო-რგოლი და საპრომოციო ვიდეო-რგოლი მე-6 მემილიონე ტურისტის აღსანიშნავად, განხორციელდა ზამთრის ონლაინ მარკეტინგული კამპანია 19 ქვეყანაში და ზაფხულის ონლაინ მარკეტინგული კამპანია 14 ქვეყანაში (მათ შორის 4 ქვეყანაში სატელევიზიო რეკლამა), განხორციელდა ინტერნეტ სარეკლამო კამპანიები, დაიბეჭდა სტატიები და განთავსდა სხვადასხვა ტურისტული მიმართულების საერთაშორისო ჟურნალ-გაზეთებში. გაიმართა პრეზენტაციები/შეხვედრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ასევე, მონაწილეობა იქნა მიღებული 25 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე: „FITUR“ (მადრიდი); „Adventur Litexo“ (ვილნიუსი); „EMITT“ (სტამბული); „Holiday Fair-Brussels“ (ბრიუსელი); „Balttour“ (რიგა); „IMTM“ (თელ-ავივი); „ITB“ (ბერლინი); „COTTM“ (პეკინი); „UITT“ (კიევი); „KITF 2017“ (ალმა-ატა); „AITF 2017“ (ბაქო); „ATM“ (დუბაი); „CTF 2017“ (თბილისი); „IMEX 2017“ (ფრანკფურტი); „KOTFA“ (სეული); „JATA“ (იაპონია); „OTDYKH 2017“ (რუსეთი); „TTG-Incontri“ (რიმინი); „WTM London“ (ლონდონი); „TT Warsaw“ (ვარშავა); „IBTM Barcelona“ (ბარსელონა); „Expo Batumi“; „Go Winter Expo“ (ჰელსინკი); „Ski and Snowboard Show“ (ლონდონი); „IBTM Arabia“ (აბუ დაბი);
- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 211 უძრავი ქონება, ხოლო 998 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2 255 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, ხოლო 238 უძრავი ქონება საკუთრებაში - 213 ეკომიგრანტ ოჯახს;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 162 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე (ინდუსტრიულ ნაწილში - 64 ბენეფიციარ კომპანიასთან და სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით - 22 ბენეფიციარ კომპანიასთან). აღნიშნული ბენეფიციარებიდან საბანკო სესხის კომპონენტით ისარგებლა 138-მა ბენეფიციარმა, ხოლო ლიზინგის კომპონენტით - 24-მა ბენეფიციარმა. ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში პროგრამის 6 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება გაწეული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნულ კომპანიებზე კომერციული ბანკებიდან დამტკიცებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 197.9 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობამ გადააჭარბა 392.9 მლნ ლარს;

- ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემუშავებული განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, გამოსყიდულ იქნა (სახელმწიფოს საკუთრებაშია) 413 მიწის ნაკვეთი და ექსპროპრიაციის შედეგად სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 18 მიწის ნაკვეთი;
- გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით დაიდო 80 საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთაგან ძალაში შევიდა 45 ხელშეკრულება;
- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;
- 2017 წლის აპრილში წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ახალ 3 წლიან პროგრამაზე, რომელიც დაეფუძნა საქართველოს მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის შესაბამისად შემუშავებულ მაკრო-ფისკალურ ჩარჩოს და ითვალისწინებს 285.0 მლნ აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარების გამოყოფას, პროგრამით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესარულების შესაბამისად. აღნიშნული თანხები მიიმართება საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვების შესავსებად. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკების ფარგლებში შეჯერებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის ფისკალურ გეგმებს საშუალოვადიან პერიოდში და სრულად ასახავს საქართველოს მთავრობის მიზნებს დაჩქარდეს და მეტი რესურსი მიიმართოს ინფრასტრუქტურული და საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ტურისტული და სატრანზიტო პოტენციალის შემდგომ განვითარებას. ამავდროულად, პროგრამა ითვალისწინებს საგადასახადო კუთხით მიმდინარე რეფორმების შედეგებს, როგორიცაა მოგების გადასახადის რეფორმა. პროგრამა ასახავს ზემოაღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელ მაკომპენსირებელ ღონისძიებებს, მათ შორის ადმინისტრაციული ხარჯების მაქსიმალურ შეზღუდვას და ითვალისწინებს სტუქტურული რეფორმების მთელ ციკლს, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის განვითარებას და უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ეფექტურობის ზრდას;
- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან. ხელი მოეწერა საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას.
- ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები ქ. თბილისსა და რეგიონებში (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ბორჯომი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ სამოქალაქო სექტორთან ფისკალური მართვის ძირითადი პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. განხილულ იქნა საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, ასევე ამ მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები;
- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად 2017 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 15 მარტს გამოშვებული 360 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 320 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 7.306 საპროცენტო განაკვეთით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:
 - ✓ 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური განაკვეთით 8.000%;
 - ✓ 8 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 8.125%;

- ✓ 12 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 8.250%;
- ✓ 10 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 8.375%.
- „საბანკო კრედიტის/სესხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში კონვერსიისა და საქართველოს მთავრობის მიერ სუბსიდირების განხორციელების სახელმწიფო პროგრამით“ ისარგებლა 5 614 ბენეფიციარმა. გალარებული სესხების პორტფელმა შეადგინა 78.6 მლნ აშშ დოლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა 15.7 მლნ ლარის სუბსიდირება;
- ჩატარდა საქართველოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის და თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის და თვითმმართველი თემების: ყაზბეგის, ხაშურის, ბორჯომის, ოზურგეთისა და მარტვილის მერების არჩევნების მეორე ტური. 12 თვის მდგომარეობით 2017 წლის არჩევნების ორივე ტურის ხარჯებმა შეადგინა 38.0 მლნ ლარამდე;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 22 პოლიტიკური პარტია. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 14.3 მლნ ლარამდე;
- გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM, QRF, COY, GDP)“, ასევე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM RCA) და მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM Mali);
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 53 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 51.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 384 335.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 385 370.0 ათასი ლარი (წინა წლის პერიოდთან შედარებით საკასო ხარჯი შემცირდა 66 922.5 ათასი ლარით), რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 14.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 11.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრულ იქნა 1 223 406.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1 248 448.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 102.0%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 13.3%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 10.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 182 206.0 ათასი ლარი;
- მივლინებები - 71 609.2 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 179 006.9 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 22 382.5 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 64 481.4 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 69 957.1 ათასი ლარი;

- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 29 421.6 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 133 686.8 ათასი ლარი;
- სამზედლო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 133 550.2 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 362 146.2 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 478 549.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 476 606.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული 4.1%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 237 482.1 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 239 075.1 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 471 164.3 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 486 262.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 103.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 5.2%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 101 163.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ს შეადგენს.
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 96 369.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 67 163.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 30 180.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - ჯამურად მიიმართა 24 602.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 106.8%-ს შეადგენს;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - ჯამურად მიიმართა 19 274.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.7%-ს შეადგენს;
- ✓ ფიზიკურ პირებზე უცხოურ ვალუტაში გაცემული საბანკო სესხების ეროვნულ ვალუტაში კონვერტირების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 15 726.9 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 346 158.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (1 332 028.9 ათასი ლარი) 101.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 11.4%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 3 324 267.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (3 325 050.9 ათასი ლარი) 100.0%-ს

შეადგენს. „სოციალური უზრუნველყოფის” მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 35.5%-ა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 28.3%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:


- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 685 800.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 706 051.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 646 635.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 174 017.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 118 820.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 104 977.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 98.8%-ს. „სხვა ხარჯების” მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.8%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 9.4%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:


- ✓ ზოგადი განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 596 684.6 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია), მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებაზე - 575 303.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 90 002.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.1%-ს შეადგენს;
- ✓ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - აღნიშნული მიზნით მიიმართა 85 443.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 108.4%-ს შეადგენს;
- ✓ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 53 586.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;

2017 წლის ხარჯების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური
აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

2016-2017 წლების ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - უკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მუშრობები, 707 - კანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

მირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 910 988.1 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 902 633.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 18.4%. მათ შორის:
 - ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 358 297.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (362 650.2 ათასი ლარი) 98.8%-ია;
 - ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 070.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 014.0 ათასი ლარი) 116.8%-ია;

- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 476 557.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (478 500.0 ათასი ლარი) 99.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 941 817.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (948 546.4 ათასი ლარი) 99.3%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 90 890.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (91 277.5 ათასი ლარი) 99.6%-ია.

• თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 670 013.1 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 691 578.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 103.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 6.7%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 611 262.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (590 953.2 ათასი ლარი) 103.4%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 40 313.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (40 328.4 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 28 878.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 573.1 ათასი ლარი) 104.7%-ს შეადგენს;
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 11 123.6 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (11 158.4 ათასი ლარი) 99.7%-ია.

• საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 1 053 933.5 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 052 068.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.2%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 580 958.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (579 917.7 ათასი ლარი) 100.2%;
- ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 61 340.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (61 846.8 ათასი ლარი) 99.2%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 117 190.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (118 743.2 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 130 581.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (130 883.1 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 161 996.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (162 542.7 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 546 303.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 564 597.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 15.1%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 171 743.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (173 764.4 ათასი ლარი) 98.8%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 202 174.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (199 995.2 ათასი ლარი) 101.1%-ს შეადგენს;

- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 12 341.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 343.2 ათასი ლარი) 71.2%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართულ იქნა 1 069.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 069.8 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 955 228.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (929 100.7 ათასი ლარი) 102.8%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 195 547.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (195 028.8 ათასი ლარი) 100.3%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 26 493.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 001.6 ათასი ლარი) 88.3%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 59 450.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 62 994.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 106.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.6%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 9 531.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 132.0 ათასი ლარი) 104.4%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 904.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (890.0 ათასი ლარი) 101.6%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 20 298.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 660.1 ათასი ლარი) 108.8%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 32 260.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (30 768.3 ათასი ლარი) 104.8%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 30 764.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 23 108.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.2%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 11 523.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 500.0 ათასი ლარი) 59.1%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 6 896.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 007.5 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს;
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 4 688.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 256.9 ათასი ლარი) 110.1%-ს შეადგენს.

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 1 038 644.2 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 066 313.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 102.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.3%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 11 693.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (11 697.1 ათასი ლარი) 100.0%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 752 153.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (752 248.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 173 730.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (152 240.3 ათასი ლარი) 114.1%;

- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 37 154.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (37 450.3 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 91 582.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (85 007.8 ათასი ლარი) 107.7%-ს შეადგენს.

• დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 256 040.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 262 652.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 102.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.5%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 116 059.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (116 272.8 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 87 406.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (80 378.1 ათასი ლარი) 108.7%-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 47 571.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (47 554.8 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 962.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (962.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 10 653.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 872.8 ათასი ლარი) 98.0%-ს შეადგენს.


• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 1 179 513.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1 172 525.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.3%. მათ შორის:

- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 587 381.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (587 807.3 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 36 172.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (37 023.7 ათასი ლარი) 97.7%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 140 742.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (147 630.6 ათასი ლარი) 95.3%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 627.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (133.0 ათასი ლარი) 471.7%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 76 350.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (78 747.4 ათასი ლარი) 97.0%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 63 718.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (62 932.8 ათასი ლარი) 101.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 267 533.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (265 239.1 ათასი ლარი) 100.9%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 544 260.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 545 373.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 24.6%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 5 919.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 989.5 ათასი ლარი) 98.8%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 714 206.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 714 208.6 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 659 974.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (660 366.1 ათასი ლარი) 99.9%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 10 900.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 972.0 ათასი ლარი) 99.3%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 100 312.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (97 929.9 ათასი ლარი) 102.4%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგურებების დაფინანსებამ შეადგინა 54 060.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (54 794.7 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს.

2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების
სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 40 000.0 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N1251 განკარგულების თანახმად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები გაიზარდა 560.0 ათასი ლარით, ხოლო „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფონდებში რესურსების გაზრდის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 აგვისტოს №1672 განკარგულების საფუძველზე - 40 000.0 ათასი ლარით. 2017 წლის ბოლოსთვის ფონდის მოცულობა განისაზღვრა 80 560.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 80 549.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 73 729.9 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	2,730,664.4	2,420,079.1	2,413,528.6	6,550.6
საქართველოს მთავრობის განკარგულება N2752 30.12.16.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, აუცილებელი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	162,758.6	134,153.8	134,153.8	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N865 04.05.17.	საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლის მიზნით	669,536.3	548,956.3	548,956.3	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N866 04.05.17.	საქართველოს მთავრობასა და აშშ-ის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების უკეთ წარმართვისა და საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად	932,447.6	805,036.0	805,036.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N981 19.05.17.	საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიმღებილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	400,000.0	400,000.0	393,543.0	6,457.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1434 12.07.17.	საქართვლოს მთავრობასა და აშშ-ს ადმინისტრაციას შორის ურთიერთობების უკეთ წარმართვისა და საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვის/წარადგინების მიზნით	275,922.0	241,933.0	241,844.9	88.1
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1598 28.07.17.	„ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის, მაიკლ ბენსის, საქართველოში ოფიციალურ ვიზიტისა დაკავშირებული მოსამართებელი სამუშაოების თაობაზე“ 2017 წლის 28 ივნისის საქართველოს პრემიერ-მინისტრის N216 ბრძანებით დამტკიცებული მოსამართებელი სამუშაოების გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	290,000.0	290,000.0	289,994.5	5.5
	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	5,491,694.0	5,491,694.0	5,148,618.7	343,075.3
საქართველოს მთავრობის	2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხარჯების	5,491,694.0	5,491,694.0	5,148,618.7	343,075.3

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული ქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
განკარგულება N1171 08.06.17.	დაფინანსებისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ მისაღები თანხების დაფინანსების მიზნით				
	საქართველოს სკოლისტური სასამართლო	24,880.0	24,880.0	24,880.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1305 30.06.17.	ქ. ბათუმში ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების დაფინანსების მიზნით	24,880.0	24,880.0	24,880.0	0.0
სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხორვეწულს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ჭოთასა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	12,000.0	12,000.0	12,000.0	0.0	
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1760 22.08.17.	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ სამსახურებრივი საჭიროებისათვის გადაცემული ავტომანქანის განბაჟების მიზნით	12,000.0	12,000.0	12,000.0	0.0
	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	473,400.0	473,400.0	460,006.8	13,393.2
საქართველოს მთავრობის განკარგულება N555 23.03.17.	2017 წლის 2-11 აპრილს ნატოს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	93,000.0	93,000.0	93,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N862 04.05.17.	2017 წლის 7 -25 მაისის ევროპის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება	130,400.0	130,400.0	129,495.6	904.4
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1351 30.06.17	ქ. ბათუმში 2017 წლის 13-14 ივლისს დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის - „საქართველოს ევროპული გზის“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	250,000.0	250,000.0	237,511.2	12,488.9
	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	601,644.0	601,644.0	599,934.0	1,710.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N267 15.02.17.	პროექტ „დაჩაგრულების“ ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	37,800.0	37,800.0	37,732.1	67.9
საქართველოს მთავრობის განკარგულება N630 31.03.17.	სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიითა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმით განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში არაქართულენოვანი გაზიერების : „კრასტანისა“ და „გურგარისტანის“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით	120,000.0	120,000.0	120,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1170 08.06.17.	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ახალ შენობაში გადასვლასა და შეუცველებელ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით	250,000.0	250,000.0	248,358.0	1,642.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1524 21.07.17.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონში მცხოვრები 69 ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, საოჯახო მეურნეობების განვითარებისა და პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფის მიზნით	138,000.0	138,000.0	138,000.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1758 22.08.17.	„ევროპა ჩვენი საერთო სახლია - ჩვენ შევქმნით ახალ, უკეთეს მომვალს“ - ქართულ-ფინურ-აფხაზური პროექტის ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	55,844.0	55,844.0	55,844.0	0.0
	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	560,000.0	560,000.0	190,963.6	369,036.4
საქართველოს მთავრობის განკარგულება N1251 22.06.17.	შრომის ბაზრის კვლევისა და ანალიზის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით	560,000.0	560,000.0	190,963.6	369,036.4

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული პტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		11,986,305.1	9,122,797.2	9,122,729.2	68.1
